



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030454643540716

04-529/ო

18 / ოქტომბერი / 2016 წ.

"სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობაში გამოსაყენებელი სპეციალური ფორმების და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების/უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივლისის 04-194/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივლისის № 04-194/ო ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N3 (მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმი) და დანართი N20 (ინსტრუქცია სოციალური მომსახურების სააგენტოში გამოსაყენებელი სპეციალური ფორმების შესახებ) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ.გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების გაცნობა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

ფორმის შევსების თარიღი
თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
დრო (საათი/წუთი)

**მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების
ოქმი**

დანართი N 3

მაძიებლის პერსონალური მონაცემები	
პირადი ნომერი	უცნობია
სახელი	უცნობია
გვარი	უცნობია
დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	უცნობია

შემთხვევის ადგილი
<p>მაძიებლის ოჯახი</p> <p>მაძიებლის ახლობლის ოჯახი (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>სააღმზრდელო დაწესებულება (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>მიმღები ოჯახი (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>მცირე საოჯახო ტიპის სახლი (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>დღის ცენტრი (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>მისამართი:</p> <p>შენიშვნა:</p>
<p>საგანმანათლებლო დაწესებულება (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>სამედიცინო დაწესებულება (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>პოლიცია (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>სასაჯელაღსრულების დაწესებულება (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p> <p>ქუჩა</p> <p>სხვა (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p>

დროებითი იდენტიფიკატორი
დაბადების მოწმობის ნომერი ¹
დროებითი სახელი ²

ვისთან ერთად მოხდა შემთხვევის ადგილას გასვლა?		
<p>გასვლა განხორციელდა თანმხლები პირების გარეშე</p> <p>საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი</p> <p>პოლიციის განყოფილების წარმომადგენელი</p> <p>შენიშვნა:</p>	<p>სასწრაფო დახმარება (ექიმი)</p> <p>განყოფილების უფროსი</p> <p>უფროსი სოციალურ მუშაკი</p>	<p>იურისტი</p> <p>სხვა (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში)</p>

სიტუაციის მოკლე აღწერა
<p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>

¹ ივსება დაბადების მოწმობის არსებობის შემთხვევაში, როდესაც უცნობია პირადი ნომერი
² ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელი უცნობია

ძალადობის იდენტიფიცირების ტესტი (ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის მესამე დონის შეფასება)

თითოეული შეკითხვაზე ცალკეული წყაროს მიხედვით (სოციალური მუშაკი, მესამე მხარე, ბავშვი, სამედიცინო შემოწმება) მონიშნეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი. „სხვა“ პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, პასუხი დააზუსტეთ შენიშვნის გრაფაში

III-1 ფიზიკური დაზიანებები		სოციალური მუშაკის შეფასებით		მესამე მხარის მიერ განცხადებული		ბავშვის მიერ განცხადებული		სამედიცინო შემოწმებით დადასტურებული	
1.1.	ჩალურჯებები და ჭრილობები, განსაკუთრებით თავზე, სახეზე, ხელებზე, ზურგზე, ფეხებზე და საჯდომზე	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
1.2.	დამწვრობა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
1.3.	სირთულეები მოძრაობისას	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
1.4.	დასიებული სხეულის ნაწილები	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
1.5.	ჭოტებილობის/ების ნაკვალევი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
1.6.	არის ინფორმაცია ბავშვზე ფიზიკური ძალადობის შესახებ	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

შენიშვნა:

III-2 სექსუალური ძალადობის ნიშნები		სოციალური მუშაკის შეფასებით		მესამე მხარის მიერ განცხადებული		ბავშვის მიერ განცხადებული		სამედიცინო შემოწმებით დადასტურებული	
2.1.	სიძინელები სიარულისას ან ჯდომისას	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.2.	ზცვია დახეული, დალაქავებული ან სისხლიანი საცვალი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.3.	სასქესო ორგანოების ტკივილი, შესიება ან ქავილი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.4.	სასქესო ორგანოების ან ანალური ხვრელის დალურჯებები, ჭრილობები ან სისხლის დენა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.5.	შარდვის ან კუჭში გასვლის დროს ტკივილი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.6.	გამონადენი სასქესო ორგანოებიდან ან სქესობრივად გადამდები დაავადება	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.7.	ბავშვის ფეხმძიმობა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
2.8.	არის ინფორმაცია ბავშვზე სექსუალური ძალადობის შესახებ	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

შენიშვნა:

III-3 ექსპლუატაციის ნიშნები	სოციალური მუშაკის შეფასებით		მესამე მხარის მიერ განცხადებული		ბავშვის მიერ განცხადებული		სამედიცინო შემოწმებით დადასტურებული	
	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
3.1. ბავშვი სკოლის ასაკისაა და სრული განაკვეთით მუშაობს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
3.2. ბავშვს იყენებენ ამორალური მიზნებისთვის, პროსტიტუციისთვის, პორნოგრაფიისა და მსგავსი ტიპის ძალადობა ხორციელდება მასზე	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
3.3. ბავშვი მათხოვრობს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
3.4. ბავშვი არის ოჯახში მყოფი სხვა ბავშვის ან ოჯახის წევრის მომვლელი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
3.5. პრის ინფორმაცია ბავშვის ექსპლუატაციის შესახებ	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

შენიშვნა:

III-4 უგულბელოების ნიშნები	სოციალური მუშაკის შეფასებით		მესამე მხარის მიერ განცხადებული		ბავშვის მიერ განცხადებული		სამედიცინო შემოწმებით დადასტურებული	
	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.1. ბავშვის ზომა და წონა ასაკთან შედარებით ძალიან მცირეა; ბავშვი ხშირად მშიერია	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.2. ბავშვი ჭუჭყიანია, არაა დაბანილი. არაადეკვატურად აცვია	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.3. ბავშვი არ იღებს საჭირო სამედიცინო მომსახურებას	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.4. ბავშვი უენერგოა, აპათიურია, არ რეაგირებს და კონკრეტული სამედიცინო მიზეზი არ არსებობს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.5. ბავშვი ცდილობს სახლს თავი დააღწიოს და ბედნიერია, როცა სხვაგან რჩება	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.6. ბავშვი ხშირად აცდენს სკოლას/საგანმანათლებლო დაწესებულებას	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.7. ბავშვი სკოლის ასაკისაა და არ ირიცხება სკოლაში	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.8. ბავშვი არის ზრდასრულებთან, რომლებიც მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულები ან მოძალადეები არიან	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.9. ბავშვი მიტოვებულია	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.10. ბავშვს მართო ტოვებენ დიდი ხნით	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.11. არაადეკვატური ზედამხედველობა და მონიტორინგი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
4.12. ბავშვს არა აქვს თავშესაფარი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

შენიშვნა:

III-5 ბავშვის ქცევა მიუთითებს შესაძლო ძალადობას ან უგულბელოებაზე	სოციალური მუშაკის შეფასებით		მესამე მხარის მიერ განცხადებული		ბავშვის მიერ განცხადებული		სამედიცინო შემოწმებით დადასტურებული	
	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.1. ბავშვი დაშინებულია ან მუდმივად ღელავს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

5.2. ბავშვს არ სურს სკოლაში სიარული ან იშვიათად დადის სკოლაში	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.3. ბავშვს არ სურს სახლში მისვლა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.4. ბავშვს აღენიშნება დეპრესიის ნიშნები	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.5. ბავშვის სექსუალური ქცევა, თამაში ან საუბარი არ შეეფერება მის ასაკს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.6. შესამჩნევი ნეგატიური ცვლილებები ბავშვის ქცევაში	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.7. ბავშვის ქცევა უჩვეულოდ აგრესიულია	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.8. ბავშვი ვერ/არ ხსნის ტრავმის და დაზიანებების მიზეზებს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.9. ბავშვი გამოეთიშა თამაშსა და სოციალურ აქტივობებს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.10. ბავშვს აღენიშნება ძილის დარღვევა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.11. ბავშვი ამჟღავნებს გადამეტებულ ან უჩვეულო შეხებას სასქესო ორგანოებზე	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.12. ბავშვი გეუბნებათ, რომ მას აქვს საიდუმლო და არა აქვს უფლება გაუმხილოს ვინმეს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
5.13. ბავშვი განსაკუთრებით არ მოსწონს კონკრეტული ვინმე კონკრეტული პირი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

შენიშვნა:

III-6 მშობლის ქცევა ან საპასუხო ქმედება	სოციალური მუშაკის შეფასებით		მესამე მხარის მიერ განცხადებული		ბავშვის მიერ განცხადებული		სამედიცინო შემოწმებით დადასტურებული	
6.1. ტრავმის სიმძიმე/სერიოზულობა არ ემთხვევა მშობლის მონათხრობს	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
6.2. მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
6.3. მშობლის არაადეკვატური გამოხმაურება ბავშვის ტრავმის შესახებ	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
6.4. დაზიანებას აფასებს უფრო მსუბუქად ვიდრე არის	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა
6.5. დაზიანების მიზეზი არ არის ახსნილი	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა	დიახ	სხვა

შენიშვნა:

ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის /ოჯახის წევრის/მოწმის ხელმოწერა³:

³ ხელმოწერა სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო

სოციალური მუშაკის დასკვნა (უპასუხეთ ყველა შეკითხვას, მიუთითეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)		
ადგილი აქვს ბავშვზე ფიზიკურ ძალადობას	დიახ არა	არ დასტურდება, მაგრამ არსებობს ეჭვი არა
ადგილი აქვს ბავშვზე სექსუალურ ძალადობას	დიახ არა	არ დასტურდება, მაგრამ არსებობს ეჭვი არა
ადგილი აქვს ბავშვზე ემოციურ ძალადობას	დიახ არა	არ დასტურდება, მაგრამ არსებობს ეჭვი არა
ბავშვი განიცდის უგულვებელყოფას	დიახ არა	არ დასტურდება, მაგრამ არსებობს ეჭვი არა
ადგილი აქვს ბავშვის ექსპლუატაციას	დიახ არა	არ დასტურდება, მაგრამ არსებობს ეჭვი არა
ბავშვი მიტოვებულია	დიახ არა	არ დასტურდება, მაგრამ არსებობს ეჭვი არა

საჭირო ქმედებები (უპასუხეთ ყველა შეკითხვას, მიუთითეთ მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხი)		
საჭიროა სამედიცინო შემოწმება	დიახ არა	
საჭიროა შეტყობინების გაგზავნა პოლიციაში	დიახ არა	
საჭიროა ფსიქოლოგის კონსულტაცია	დიახ არა	

საჭირო მომსახურებები მესამე დონის ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის არსებობისას (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)	
1. ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება ინტენსიური მეთვალყურების ქვეშ	2. ბავშვის გადაყვანა მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.) ინტენსიური მეთვალყურების ქვეშ
3. ბავშვის არსებულ ზრუნვის ფორმაში შენარჩუნება ინტენსიური მეთვალყურების ქვეშ	4. გადაუდებელი მინდობით აღზრდა
5. სააღმზრდელო დაწესებულება	6. მცირე საოჯახო ტიპის სახლი
7. ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი	8. დედათა და ბავშვთა თავშესაფარი
9. დადგენილი (არსებული) მომსახურების ტიპის განმხორციელებლის ცვლილება ⁴	10. სხვა (დააკონკრეტეთ შენიშვნის გრაფაში):

1.არის თუ არა საჭირო კრიზისული ინტერვენციის გეგმის შემუშავება/გადასინჯვა: დიახ არა

2.არის თუ არა საჭირო ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება/გადასინჯვა: დიახ არა

დასკვნა/რეკომენდაცია:

⁴ როდესაც საჭიროა მომსახურების მიწოდების ცვლილება მომსახურების ტიპის ცვლილების გარეშე. მაგ: როდესაც მიზანშეწონილია ბავშვისათვის მიმღები ოჯახის მეორეთი შეცვლა, ან ბავშვის ერთი ბავშვთა სახლიდან სხვა ბავშვთა სახლში გადაყვანა.

კრიზისული ინტერვენციის გეგმა

სფერო	მიზანი	ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირები	ვადები
1. უსაფრთხოება (მოიცავს ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას)				
2. ჯანმრთელობა (მოიცავს იმ გადაუდებელი ჯანმრთელობის საჭიროებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფას, რაც ბავშვს აქვს ძალადობის შემთხვევის შემდეგ)				
3. ფსიქო-ემოციური სტაბილურობა (ჩამოაყალიბებს ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის აუცილებელ ნაბიჯებს)				
4. გრძელვადიანი ზრუნვის უზრუნველყოფა (განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რაც უნდა გადაიდგას ბავშვის ზრუნვის გრძელვადიან ფორმაში გადასაყვანად)				

ინსტრუქცია სოციალური მომსახურების სააგენტოში გამოსაყენებელი სპეციალური ფორმების შესახებ

სამუშაო ფორმები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. დანართი N1 – განცხადება ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების შესახებ
2. დანართი N2 - მიმართვის ფორმა
3. დანართი N3 - მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმი
4. დანართი N4 - ბავშვის შეფასების ფორმა
5. დანართი N5 - ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმა
6. დანართი N6 - დასკვნა ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის შესახებ
7. დანართი N7 - კანდიდატი ოჯახის შეფასების ფორმა
8. დანართი N8 - ინდივიდუალური განვითარების გეგმა/გადასინჯვის ფორმა
9. დანართი N9- ინფორმაცია ბავშვთან და/ან ბავშვთან დაკავშირებულ პირებთან შემდგარი სოციალური მუშაკ(ებ)ის კონტაქტების შესახებ
10. დანართი N10- ინფორმაცია შემთხვევასთან დაკავშირებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ორგანიზებული შეხვედრების შესახებ
11. დანართი N11-მშვილგბელი ოჯახის/პირის და გასაშვილებელი ბავშვის მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის ფორმა
12. დანართი N12 - განაცხადი არაფულადი მომსახურების თაობაზე
13. დანართი N13 - სოციალური მუშაკის ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა
14. დანართი N14 – სოციალური მუშაკის ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა
15. დანართი N15 - უფროსი სოციალური მუშაკის ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა
16. დანართი N16- უფროსი სოციალური მუშაკის ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა
17. დანართი N17 - სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა
18. დანართი N18 - უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა

ინსტრუქციები

1. დანართი N1 – განცხადება ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების შესახებ

- ✓ აღნიშნული ფორმა ივსება ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების შემთხვევაში.
- ✓ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმართვის ავტორი ბავშვის ბიოლოგიური მშობელია და მიმართვა ხორციელდება ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების მიზნით, აუცილებელია მას პირადად გაესაუბროს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი (სოციალური მუშაკი; საჭიროების შემთხვევაში ასევე იურისტიც). ფორმას ადასტურებს ყველა მხარე ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელმა არ იცის წერა-კითხვა ან არ ფლობს ქართულ ენას, ფორმას ავსებს სააგენტოს პასუხისმგებელი პირი. შევსებული და ხელმოწერილი ერთიანი ფორმა მიმართვის ავტორის (მშობლის) ან მიმართვის ავტორის (მშობლის) და სასურველი მშვილებლის ერთობლივ თავისუფალ განცხადებასთან ერთად ერთად ტარდება კანცელარიაში.
- ✓ განცხადების შევსებისას შესაძლოა, საჭირო იყოს მოწმე უფლებამოსილი პირის მონაწილეობა, კერძოდ, იმ შემთხვევებში, თუ განმცხადებელი არის არასრულწლოვანი, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ან არ იცის წერა-კითხვა, ან არ ფლობს ქართულ ენას.

2. დანართი N2 - მიმართვის ფორმა

- ✓ მიმართვის ფორმის შევსებაზე უფლებამოსილი პირია სოციალური მუშაკი.
- ✓ მიმართვის ფორმა გამოიყენება:
 - ახალი შემთხვევების დასაფიქსირებლად;
 - ასევე, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ბავშვი არის უკვე სისტემაში (როგორც 24-საათიან ზრუნვაში, ასევე, სხვადასხვა ოჯახის დამხმარე მომსახურებაში). სისტემაში არსებულ ბავშვებზე ძირითადად მიმართვის ფორმა ივსება ძალადობისა და უგულვებელყოფის ეჭვის შემთხვევებში.
- ✓ შემთხვევის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია, აღინიშნოს მიმართვის რამდენიმე მიზეზი.
- ✓ ნებისმიერი სხვა ცვლილება იმ ბავშვებზე, რომლებიც არიან სისტემაში და რომლებზეც არსებობს შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმა, ფიქსირდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის (დანართი N8) ფორმაში.
- ✓ გადაუდებელი რეაგირება ხორციელდება მიმართვის მიღებიდან 24 საათში. რუტინული რეაგირება, სასურველია, განხორციელდეს 5 სამუშაო დღეში, ხოლო სავალდებულო კი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში.

3. დანართი N3 - მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმი

- ✓ მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმი გამოიყენება ყველა გადაუდებელი შემთხვევის შეფასებისათვის (შემთხვევები, რომლებიც ბავშვზე ზრუნვის სისტემაში უკვე არსებობს ან პირველად გახდა ცნობილი სისტემისთვის).
- ✓ გადაუდებელი რეაგირება შეიძლება საჭირო გახდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი:
 - ზედამხედველობის გარეშე ან ამ რისკის წინაშეა, რაც მყისიერ საშიშროებას უქმნის ბავშვის უსაფრთხოებას;
 - ძალადობის ან უგულვებლყოფის მსხვერპლია ან მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას მყისიერი საშიშროება ემუქრება ან ამ რისკის წინაშეა;
 - დროის დიდ ნაწილს ატარებს ქუჩაში, ან ცხოვრობს ქუჩაში ან ქუჩაში მოხვედრის მაღალი რისკის წინაშეა;
 - გაიქცა 24-საათიანი მომსახურებიდან;
 - არის სხვა ისეთი რისკების წინაშე, რომლებიც მყისიერ საფრთხეს უქმნის ბავშვის კეთილდღეობას.
- ✓ სოციალური მუშაკის მიერ გადაუდებელი რეაგირება მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს მიმართვის მიღებიდან 24 საათში.
- ✓ შესაძლოა, რომ სოციალურმა მუშაკმა მითითებული ოთხი ინფორმაციის წყაროთაგან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე წყაროსგან შეძლოს ინფორმაციის მოპოვება.
- ✓ გადაუდებელი შეფასებისას აუცილებელი არ არის ძალადობის იდენტიფიცირების ტესტში ყველა მოცემულ ნიშანთან მიმართებით პასუხის გაცემა. აუცილებელია პასუხის გაცემა მხოლოდ იმ ნიშნებზე, რომლებზეც სოციალური მუშაკი გადაუდებელი შეფასებისას შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაკი ძალადობის რომელიმე ფორმასთან დაკავშირებით უპასუხებს „დიახ“ ან „არ დასტურდება ძალადობა, მაგრამ არსებობს ეჭვი“, მაშინ უნდა განისაზღვროს საჭირო ქმედება (სამედიცინო შემოწმება, ან/და შეტყობინების გაგზავნა პოლიციაში, ან/და ფსიქოლოგის კონსულტაცია); ასევე, ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა განისაზღვროს იმ მომსახურების ფორმა, რომელშიც შესაძლებელია ბავშვის განთავსება.
- ✓ ბავშვზე რომელიმე ფორმის ძალადობის არსებობის (ან ეჭვის) შემთხვევაში შეიძლება ბავშვის შენარჩუნება მის ოჯახში, თუ მოძალადე დატოვებს ოჯახს, ან ბავშვი გადავა საცხოვრებლად ნათესავთან/ახლობელთან ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ.
- ✓ მას შემდეგ, რაც ბავშვი უსაფრთხო ადგილას განთავსდება, სოციალური მუშაკი ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასებაზე (დანართი N4 და დანართი N5) იწყებს მუშაობას.
- ✓ თუ გადაუდებელი შეფასება განხორციელდა იმ ბავშვზე, რომელიც არის სისტემაში და მასთან დაკავშირებით არსებობს ინდივიდუალური განვითარების გეგმა, გადაუდებელი შეფასების შედეგად შესაძლოა, რომ საჭირო გახდეს ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვა (დანართი N8).
- ✓ კრიზისული ინტერვენციის გეგმის შემუშავება ხდება შემთხვევის შეფასების დასრულებამდე და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებამდე (არაუმეტეს 25 სამუშაო დღის).
- ✓ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევების დროს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო განიხილავს მიმართვაზე გადაუდებელი რეაგირების ოქმს, რომელიც მოიცავს სოციალური მუშაკის დასკვნა/რეკომენდაციას და კრიზისული ინტერვენციის გეგმას, ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N04-519/ო ბრძანებით დამტკიცებულ დანართ N1-ს და დანართ N3 -ს.

4. დანართი N4 - ბავშვის შეფასების ფორმა

5. დანართი N5 - ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმა

- ✓ **ბავშვის შეფასების ფორმა და ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმა** გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:
 - მიმართვის ფორმაში მიმართვის მიზეზების გაანალიზების შემდეგ მიზანშეწონილია რეაგირება;
 - გადაუდებელი შეფასების შედეგად დასტურდება ან ეჭვი არსებობს ბავშვზე ძალადობის შესახებ ან იკვეთება სხვა რისკები;
- ✓ **ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმა** შეფასების ფორმა გამოიყენება 24-საათიან ზრუნვაში მყოფი ბავშვის გაყვანის ან ნახვის უფლების მინიჭების დროს, იმ შემთხვევაში თუ გამყვანი პირი არის ბიოლოგიური ოჯახის წევრი
- ✓ ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასება ხორციელდება სოციალური მუშაკის მიერ მიმართვის მიღებიდან 25 სამუშაო დღის განმავლობაში.
- ✓ როდესაც ბავშვი და ოჯახი ცხოვრობენ განსხვავებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასებაზე მუშაობს ორი სოციალური მუშაკი. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ბავშვის ინტერესების დასაცავად.
 - ✓ თუ ერთ ოჯახში რამდენიმე ბავშვია და ყველა ან რამდენიმე ბავშვზე არის შემოსული მიმართვა ან სოციალური მუშაკი ოჯახში არსებული რისკებიდან გამომდინარე ყველა ბავშვის შეფასებას ჩათვლის საჭიროდ, მაშინ *დანართი N4* ივსება თითოეულ ბავშვზე ცალ-ცალკე, ხოლო დანართი N5 -ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმა იქნება საერთო.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი არ შედის კონტაქტში სოციალურ მუშაკთან, სოციალური მუშაკი ხელმძღვანელობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით, ხოლო ოჯახის ადგილსამყოფელის ხანგრძლივი (ფაქტის დადგენიდან 30-ზე მეტი დღე) დაუდგენლობისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უკავშირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს.
- ✓ როდესაც სოციალური მუშაკი აფასებს ბავშვს, რომელზეც ფაქტობრივად ზრუნავს ნათესავი ან ოჯახის წევრი, რომელიც არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობელს, ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასების ფორმებში ნებისმიერ შემთხვევაში მიეთითება ბიოლოგიური მშობლების პერსონალური ინფორმაცია. რაც შეეხება ოჯახის შეფასებას, თუ ბავშვი ცხოვრობს ნათესავთან/ოჯახის წევრთან ბიოლოგიური მშობლებისგან განსხვავებულ მისამართზე, საჭიროებისამებრ, ფასდება ორი ოჯახი და ივსება ოჯახის შეფასების ორი ფორმა - ბიოლოგიური მშობლების და ბავშვზე ფაქტიურად მზრუნველი ნათესავის/ოჯახის წევრის. თუ ბავშვზე ფაქტობრივად მზრუნველი და ბავშვის ბიოლოგიური მშობლები ცხოვრობენ ერთ მისამართზე, შეფასდება ერთი ოჯახი ოჯახის შეფასების ერთი ფორმით.
- ✓ როცა მეურვე-მზრუნველად დანიშვნა სურს ბავშვზე ფაქტობრივად მზრუნველ ნათესავს ან ოჯახის წევრს, ამ შემთხვევაში, ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმით ფასდებიან ბავშვის ბიოლოგიური მშობლები. ბავშვზე ფაქტობრივად მზრუნველი ნათესავი ან ოჯახის წევრი კი, რომელსაც სურს მეურვე-მზრუნველად დანიშვნა, შეფასდება კანდიდატი ოჯახის შეფასების ფორმით.
- ✓ როდესაც ბავშვი ფაქტობრივად შვილად ჰყავს აყვანილი ოჯახს, რომელიც არ წარმოადგენს კანონიერ მშვილებელს, სოციალური მუშაკი აფასებს ბავშვს და მის ბიოლოგიურ ოჯახს ბავშვისა და ბავშვის ოჯახის შეფასების ფორმებით. რაც შეეხება ფაქტობრივ მშვილებელს, ის უნდა შეფასდეს კანდიდატი ოჯახის შეფასების ფორმით.
 - ✓ თუ ოჯახური დავის შემთხვევაში, ბავშვი ცხოვრობს მუდმივად ერთ-ერთ მშობელთან, სოციალური მუშაკი აფასებს ბავშვისა და მისი იმ ბიოლოგიური მშობლის მდგომარეობას, რომელთანაც ბავშვი მუდმივად ცხოვრობს. რაც შეეხება მეორე ბიოლოგიურ მშობელს, მის შემთხვევაში მხოლოდ ოჯახის შეფასების ფორმა შეივსება.

სწორად წარმართული შეფასების შედეგია ადეკვატური დასკვნის გაკეთება და ისეთი ინდივიდუალური განვითარების გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც ბავშვის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისია. არასწორი შეფასების პროცესი უარყოფითად აისახება ბავშვის მომავალზე და მთლიანად შემთხვევის წარმატებაზე.

6.დანართი N6 - დასკვნა

- ✓ დასკვნის მიზანია შეფასების საფუძველზე განსაზღვროს ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროება და/ან ზიანის რისკის დონე და საჭირო დამხმარე ან/და ჩამნაცვლებელი მომსახურებები. დასკვნის ფორმა ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასების განუყოფელი ნაწილია.
- ✓ დასკვნის ფორმა იცვება შემდეგ შემთხვევებში:
 - ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასება ხორციელდება ოჯახური დავების, გერის შვილად აყვანისა და პირდაპირი გაშვილების დროს (ამ შემთხვევებში, დასკვნა ნარატიული ფორმით იწერება).
 - ინდივიდუალური განვითარების გეგმა/გადასინჯვის (დანართი N8) შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ გადასინჯვის შედეგად იცვლება მომსახურების/ზრუნვის ფორმა ან დადგენილი განმახორციელებელი (მაგ. ბავშვი მინდობითი აღზრდიდან რეინტეგრირდება ბიოლოგიურ ოჯახში ან ერთი მინდობითი ოჯახიდან გადადის მეორეში).
- ✓ სოციალურმა მუშაკმა სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის შესაფასებლად უნდა გაიაზროს შემდეგი შვიდი მტკიცებულება და თითოეულთან მიმართებით უნდა მონიშნოს პასუხი: „ვეთანხმები“ ან „არ ვეთანხმები“:

რას გულისხმობს სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის პირველი დონე?

- ✓ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის პირველი დონე გულისხმობს, რომ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროება ან ზიანის რისკი არ არსებობს ან არის მცირე.
- ✓ სოციალური მუშაკი პირველი დონის მტკიცებულებებზე პასუხისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპით: შესაძლებელია თუ არა ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება სახელმწიფოს აქტიური ჩარევის, მხარდაჭერის გარეშე, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ გადამისამართებითა და ინფორმაციის/რჩევის მიწოდებით?
- ✓ თუ ზემოაღნიშნული შვიდი მტკიცებულებიდან სოციალური მუშაკი უმეტესობას, ანუ ოთხს ან მეტს დაეთანხმა, მაშინ შემთხვევა პირველ დონეს მიეკუთვნება, ხოლო თუ - სამს ან ნაკლებს, მაშინ სოციალური მუშაკი მეორე დონის შეფასებაზე გადადის.
- ✓ სოციალურმა მუშაკმა პირველ დონეზე საჭიროდ მიიჩნიოს ბავშვისთვის მეურვეობა/მზრუნველობა. ძირითადად ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბავშვს ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და განვითარებას საფრთხე არ ემუქრება.
- ✓ ზოგიერთი მომსახურება განეკუთვნება როგორც პირველი ასევე, მეორე დონის მომსახურებებს. პირველ დონეზე ეს მომსახურება საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც არ იკვეთება ბავშვის უსაფრთხოებასთან, სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა რისკები და არ საჭიროებს სოციალური მუშაკის ჩართულობას. მეორე დონეზე ეს მომსახურებები საჭიროა, თუ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორები.
- ✓ თუ სოციალური მუშაკი შემთხვევას პირველ დონეს მიაკუთვნებს, მაშინ იგი პირველი დონის რეკომენდაციის გრაფაში დასკვნის სახით აჯამებს მდგომარეობას, ასევე, აზუსტებს, თუ რა ინფორმაცია მიაწოდა ბავშვსა და მის ოჯახს ან/და რომელ უწყებებთან გადაამისამართა.

რას გულისხმობს სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის მეორე დონე?

- ✓ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის მეორე დონე გულისხმობს, რომ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროება ან ზიანის რისკი არის მკვეთრად გამოხატული.
- ✓ თუ ზემოაღნიშნული შვიდი მტკიცებულებიდან სოციალური მუშაკი უმეტესობას, ანუ ოთხს ან მეტს დაეთანხმა, მაშინ შემთხვევა მეორე დონეს მიეკუთვნება, ხოლო თუ - სამს ან ნაკლებს, მაშინ სოციალური მუშაკი მესამე დონის შეფასებაზე გადადის.
- ✓ მეორე დონეზე მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის მიერ ოჯახის მხარდაჭერა ბავშვის ოჯახში შენარჩუნების მიზნით. მეორე დონეზე ხორციელდება ოჯახისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარებისა და ოჯახის დამხმარე მომსახურების მიწოდება, რომელთა მიზანია ოჯახის მთლიანობის შენარჩუნება.
- ✓ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით მომართვის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ახორციელებს ვიზიტს ოჯახში:
 - ❖ თუ არ იკვეთება ბავშვის მიტოვების რისკი და შემთხვევა არ საჭიროებს სოციალური მუშაკის მხრიდან ინტერვენციას, ივსება მხოლოდ **კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში მოსათავსებელი მამიებლის შეფასების სპეციალური ფორმა**, არ ივსება სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობაში გამოსაყენებელი ბავშვისა და ოჯახის შესაფასებელი ფორმები და სოციალური მუშაკი აღარ აგრძელებს მუშაობას;
 - ❖ იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება ბავშვის მიტოვების რისკი და სოციალური მუშაკის მხრიდან მუშაობის გაგრძელების საჭიროება, ის ახორციელებს ბავშვისა და ოჯახის შეფასებას და მართავს შემთხვევას.
- ✓ თუ სოციალური მუშაკი შემთხვევას მეორე დონეს აკუთვნებს, იგი რეკომენდაციის გრაფაში დასკვნის სახით აჯამებს მდგომარეობას, დანიშნული მომსახურების/დახმარების დასაბუთების ჩათვლით. ასევე, რეკომენდაციის გრაფაში მას შეუძლია ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის დაფიქსირება.
- ✓ დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვის შემთხვევაში სოციალური მუშაკი ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას და ახორციელებს მონიტორინგს ბავშვის მდგომარეობაზე.

რას გულისხმობს ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის მესამე დონე?

- ✓ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის მესამე დონე გულისხმობს, რომ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის საჭიროება ან ზიანის რისკი არის მწვავე. მესამე დონეზე ძირითადად განიხილება ბავშვზე ძალადობისა და უგულუბელყოფის ის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
- ✓ სოციალური მუშაკი სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების ან ზიანის რისკის მესამე დონის შესაფასებლად ბავშვზე ძალადობის იდენტიფიცირების ტესტს იყენებს.
- ✓ გადაუდებელი შეფასებისას აუცილებელი არ არის ძალადობის იდენტიფიცირების ტესტში ყველა მოცემულ ნიშანთან მიმართებით პასუხის გაცემა, არამედ მხოლოდ იმ ნიშნებზე, რომლებზეც სოციალური მუშაკი გადაუდებელი შეფასებისას შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაკი ძალადობის რომელიმე ფორმასთან დაკავშირებით უპასუხებს „დიახ“ ან „არ დასტურდება ძალადობა, მაგრამ არსებობს ეჭვი“, მაშინ უნდა განისაზღვროს საჭირო ქმედება (სამედიცინო შემოწმება, ან/და შეტყობინების გაგზავნა პოლიციაში, ან/და ფსიქოლოგის კონსულტაცია); ასევე, ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა განისაზღვროს იმ მომსახურების ფორმა, რომელშიც შესაძლებელია ბავშვის განთავსება.
- ✓ მესამე დონეზე ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში შეიძლება ბავშვის შენარჩუნება მის ოჯახში, თუ მოძალადე დატოვებს ოჯახს ან ბავშვი საცხოვრებლად ნათესავთან/ახლობელთან გადავა ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ. ასეთ შემთხვევებში, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია ბავშვისათვის ოჯახის დამხმარე მომსახურებების დანიშნვა.
- ✓ მესამე დონეზე შემთხვევებზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტის შესაბამისად.
- ✓ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი გადაუდებელი რეაგირებით არის განთავსებული უსაფრთხო გარემოში (მაგ. მიძღვ ოჯახში), დასკვნის ფორმას ვავსებთ ძალადობის იმ ფორმების ანალიზის საფუძველზე, რომელთა გამოც მოხდა ბავშვის მაგ. მიძღვ ოჯახში განთავსება.
- ✓ სოციალური მუშაკი რეკომენდაციის გრაფაში დასკვნის სახით აჯამებს მდგომარეობას, დანიშნული მომსახურების/დახმარების დასაბუთების ჩათვლით. ასევე, რეკომენდაციის გრაფაში მას შეუძლია ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის დაფიქსირება.
- ✓ დასკვნის ფორმა არ მოიცავს ბავშვისა და მინდობით აღმზრდელის შეთავსების ანგარიშს ბავშვის მინდობით აღზრდის მომსახურებაში გადაყვანის შემთხვევაში, შეთავსების ანგარიში იწერება ცალკე ნარატიული სახით.
- ✓ შევსებული დასკვნის ფორმა წარედგინება საბჭოს განსახილველად.

7.დანართი N7 - კანდიდატი ოჯახის შეფასების ფორმა

- ✓ კანდიდატი ოჯახის შეფასების ფორმის მიზანია, შეაფასოს მეურვე/მზრუნველის, მიძღვების ან მშვილებელი კანდიდატის, გამყვანი/მნახველი პირის ოჯახი
- ✓ ფორმა გამოიყენება მას შემდეგ, რაც კანდიდატი განცხადებით მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ასევე კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ პერიოდში კანდიდატის მონაცემების განახლებისათვის.
- ✓ გამყვანი/მნახველი პირის ოჯახის შეფასება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ოჯახის შეფასების დროს არ მომხდარა აღნიშნული ოჯახის შეფასება
- ✓ ოჯახის შეფასება ხორციელდება სოციალური მუშაკის მიერ კანდიდატ(ებ)ის/განმცხადებლ(ებ)ის განცხადების მიღებიდან 20 სამუშაო დღეში.
- ✓ ფორმის დასასრულს მოცემულია სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელშიც სოციალურ მუშაკს შეუძლია, მიუთითოს ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია, რაც თავს იჩენს შეფასების პროცესში.
- ✓ დასკვნა/რეკომენდაციის გრაფაში სოციალური მუშაკი მოკლედ აჯამებს მიღებულ ინფორმაციას და ოჯახის შეფასების საფუძველზე აკეთებს ანალიზს

- ✓ დასკვნის ნაწილში სოციალური მუშაკი უთითებს, აკმაყოფილებს თუ არა, პირი კანდიდატად (მეურვე/მზრუნველი, მშვილბეელი, მიმღები მშობელი) რეგისტრაციის პირობებს.

8.დანართი N8 - ინდივიდუალური განვითარების გეგმა/ გადასინჯვის ფორმა

- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიზანია მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი მიზნების მისაღწევი აქტივობების ჩამოყალიბება.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმა დგება ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასების საფუძველზე.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმა ყალიბდება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასებისა და დასკვნის ფორმის შევსების შემდეგ, რომელიც ტარდება დეს-ში შემთხვევის საბჭოზე განსახილველად გასვლამდე.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება საჭიროა, თუ არის მე-2 ან მე-3 დონის რისკი
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმა ივსება:
 - ✓ შემთხვევის შეფასების შემდეგ;
 - ✓ გადასინჯვის შემდეგ;
- ✓ სოციალური მუშაკი გეგმას აცნობს შემდეგ პირებს:
 - ✓ 10 წლის და უფროსი ასაკის ბავშვს;
 - ✓ ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლებს;
 - ✓ მომსახურების მიმწოდებელს, ან დროებით მზრუნველს (ახლობელს, ნათესავს), სადაც უნდა განთავსდეს ბავშვი.
- ✓ მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული პირების მოსაზრებები გეგმასთან დაკავშირებით, რომელთაც სოციალური მუშაკი აფიქსირებს გეგმაში.
- ✓ თუ ბავშვი და ბავშვის მშობლები/კანონიერი წარმომადგენელი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ცხოვრობენ, და მშობელმა ვერ განახორციელა ვიზიტი იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ბავშვის განთავსება იგეგმება, მაშინ ბავშვის სოციალური მუშაკი უგზავნის გეგმის პროექტს წერილის დანართის სახით ოჯახის სოციალურ მუშაკს გეგმის მე-4 მიზანთან (ბავშვის ოჯახურ გარემოში რეინტეგრაცია) და ზოგადად გეგმასთან დაკავშირებით მშობლის მოსაზრებების გასაგებად. ოჯახის სოციალური მუშაკი მშობლის მოსაზრებებს გეგმასთან დაკავშირებით ასახავს წერილში, ადგენს გეგმის მე-4 (რეინტეგრაციასთან დაკავშირებულ) მიზანს და უგზავნის ბავშვის სოციალურ მუშაკს მშობლის განცხადებასთან ერთად. ბავშვის სოციალური მუშაკი წერილის შინაარსის საფუძველზე გეგმაში შეიტანს მშობლის/ოჯახის წევრის მოსაზრებას და გადმოიტანს გეგმაში ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებულ მეოთხე (რეინტეგრაციასთან დაკავშირებულ) აქტივობებს. თუ მშობელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, რადგან იგი ფიზიკურად ხელმიუწვდომელია ან არ არსებობს ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ, ოჯახის სოციალური მუშაკი წერილში ასაბუთებს, რატომ ვერ დაფიქსირდა მშობლის მოსაზრება ინდივიდუალური განვითარების გეგმასთან დაკავშირებით.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმა დგება მაქსიმუმ 6 თვით; თუ ინდივიდუალური განვითარების გეგმა მუშავდება პირველად, ივსება მხოლოდ **B** ბლოკი.

- ✓ A ბლოკი ივსება მხოლოდ გადასინჯვის პერიოდისთვის - წინა ინდივიდუალური გეგმის ვადის ამოწურვისას;
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვა ხორციელდება გეგმიურად, მინიმუმ ყოველ ექვს თვეში ერთხელ სოციალური მუშაკის მიერ. ასევე, შესაძლებელია ინდივიდუალური განვითარების გეგმის რიგგარეშე გადასინჯვა.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული კონტაქტების შედეგები აისახოს გეგმის გადასინჯვის შინაარსზე.
- ✓ გეგმის რიგგარეშე გადასინჯვა შესაძლოა, საჭირო გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესში თავს იჩენს ისეთი გარემოება, რაც გავლენას ახდენს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვა განიხილება საბჭოზე.
- ✓ იმ შემთხვევაში თუ ბავშვი და მისი ოჯახი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულშია, ოჯახის სოციალური მუშაკი ახორციელებს ბავშვის ოჯახთან მინიმუმ ორ თვეში ერთხელ კონტაქტს, ხოლო ბავშვთან ვიზიტების სიხშირე კი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის ძირითადი ნაწილი უკავშირდება იმის შესწავლასა და აღწერას, თუ რამდენად იქნა ინდივიდუალური განვითარების გეგმის ღონისძიებები განხორციელებული და მიზნები მიღწეული. სოციალური მუშაკი ყოველ აქტივობასთან მიმართებით ასახავს მიღწეულ შედეგს, ასევე, მიუთითებს და ასაბუთებს იმ მიზეზებს, რის გამოც ვერ იქნა განხორციელებული აქტივობა ან ვერ იქნა სრულად შესრულებული.
- ✓ სოციალური მუშაკი მომსახურების განხორციელების პროცესში ყოველთვის ურად¹ ახორციელებს მინიმუმ ერთ ვიზიტს. რეგულარული პირადი კონტაქტი ბავშვთან და მის ოჯახის წევრებთან მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის.
- ✓ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განახლება, ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის ფორმაში უნდა მიუთითოს, თუ რა სახის ინფორმაცია საჭიროებს განახლებას და შესაბამის ბლოკში შეიყვანოს განახლებული მონაცემები.
- ✓ ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის შედეგად შესაძლოა, საჭირო გახდეს მომსახურების ცვლილება. თუ მომსახურების ცვლილება აუცილებელია, სოციალური მუშაკი ავსებს დასკვნა/რეკომენდაციაში მიუთითებს შესაბამის ცვლილებას (მაგალითად, როდესაც ხორციელდება მიმდებ ოჯახში განთავსებული ბავშვის რეინტეგრაცია). მომსახურების ცვლილებასთან ერთად აუცილებელია ახალი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა. თუ მომსახურების ცვლილება არ არის საჭირო, ამ შემთხვევებშიც ინდივიდუალური განვითარების გეგმის განახლება ძირითადად აუცილებელია.
- ✓ შემთხვევის დახურვა ხორციელდება გადასინჯვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საქმის დახურვის დროს გადასინჯვის ფორმის ბოლოს დასკვნა/რეკომენდაციაში სოციალური მუშაკი აჯამებს მდგომარეობას და ასაბუთებს დახურვის თაობაზე რეკომენდაციას.

¹ სოციალური მუშაკი ხელმძღვანელობს „მინდობით აღზრდის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №51 ბრძანებით.

- ✓ იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვმა მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, დაქორწინდა ან გარდაიცვალა, საქმის დახურვა ხორციელდება ნარატიული დასკვნის საშუალებით.
- ✓ მზრუნველობის ფორმის (მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურება) გაუქმების შემთხვევაში სოციალური მუშაკი ავსებს გადასინჯვის ფორმას ბავშვის მომავალი ზრუნვის ფორმის განსაზღვრისათვის და გეგმის გადასინჯვის შედეგად საჭიროებიდან გამომდინარე, ავსებს დასკვნის ფორმას (დანართი N6), ხოლო მზრუნველობის ფორმის გაუქმების თაობაზე წერს გეგმა/გადასინჯვის დასკვნა/რეკომენდაციის ნაწილში და გააქვს საბჭოზე განსახილველად.
- ✓ ბენეფიციარის გარდაცვალების, დაქორწინების, ან სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევებში, სოციალური მუშაკი წერს ნარატიულ დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საბჭოს განსახილველად. გეგმის გადასინჯვა ამ შემთხვევებში არ არის საჭირო. დანარჩენ შემთხვევებში, როდესაც საქმე წყდება, სოციალური მუშაკი შეწყვეტის შესახებ მიუთითებს გეგმა/გადასინჯვის ფორმის ბოლოს დასკვნა/რეკომენდაციის გრაფაში, ასევე, გადასინჯვაში მიუთითებს ბავშვის შემდგომი ზრუნვის ფორმის განსაზღვრის თაობაზე რეკომენდაციას და ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, ავსებს დასკვნის(დანართი N6) ფორმას.

9. დანართი N9 - ინფორმაცია ბავშვთან და/ან ბავშვთან დაკავშირებულ პირებთან შემდგარი სოციალური მუშაკ(ებ)ის კონტაქტების შესახებ

- ✓ ფორმა გამოიყენება ინდივიდუალური განვითარების გეგმის დამტკიცებიდან მის გადასინჯვამდე გასულ პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ ბავშვთან და მასთან დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული კონტაქტის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირებისათვის.
- ✓ აღნიშნული ფორმა ივსება თითოეულ ბავშვზე ცალ-ცალკე.
- ✓ აღნიშნულ ფორმაში სოციალურ მუშაკს შეაქვს ინფორმაცია 24 საათიანი ზრუნვის მომსახურებაში ან საცხოვრებლად ნათესავთან/ახლობელთან ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ განთავსებული ბავშვის კონტაქტების შესახებ. ინფორმაციის მიღება უნდა მოხდეს სოციალური მუშაკის ვიზიტის დროს როგორც მიმღები ოჯახისგან/მომსახურების მიმწოდებლისგან, ისე მომსახურებაში არსებული აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერებიდან

10. დანართი N10 - ინფორმაცია შემთხვევასთან დაკავშირებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ორგანიზებული შეხვედრების შესახებ

- ✓ ფორმა გამოიყენება შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის შეხვედრის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირებისათვის, რომელიც ორგანიზებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ.
- ✓ შემთხვევასთან დაკავშირებული შეხვედრა შეიძლება განხორციელდეს შემთხვევის კონფერენციის ან ოჯახური კონფერენციის სახით.
- ✓ შემთხვევის კონფერენცია წარმოადგენს შეხვედრას, რომლის დროსაც ბავშვის შემთხვევა განიხილება მისი და/ან მასთან დაკავშირებული სხვადასხვა პირებისა და პროფესიონალების მონაწილეობით. შემთხვევის კონფერენციაში მონაწილე მხარეები მსჯელობენ შემთხვევის შესახებ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს ბავშვზე ზრუნვისა და მისი დაცვისათვის.

- ✓ ოჯახის კონფერენცია წარმოადგენს ოჯახთან მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს, რომელიც უმთავრესად გამოიყენება კრიზისული სიტუაციის დროს პრობლემის მოსაგვარებლად. მისი მიზანია გამოსავლის ძიება და არსებული პრობლემის გადასაჭრელად ოჯახის წევრთა გაერთიანება. ოჯახური კონფერენციის მონაწილეები შეიძლება იყვნენ როგორც ბავშვი და მისი ოჯახის წევრები, ასევე წარმომადგენლები ოჯახის თანადგომის ქსელიდან და ბავშვთან მომუშავე სპეციალისტები.

11. დანართი N11 - მშვილბეული ოჯახის/პირის და გასაშვილებელი ბავშვის მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის ფორმა

აღნიშნული ფორმა გამოიყენება მშვილბეული ოჯახის/პირის და გასაშვილებელი ბავშვის მონაცემთა ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით.

ფორმის ბავშვების ფურცელი (ე.წ. sheet – „ბავშვები“) მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ბავშვის სახელი, გვარი
- ბავშვის დაბადების თარიღი
- ბავშვის პირადი ნომერი
- ბავშვის სქესი
- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- ბავშვის ბიოლოგიური მშობლ(ებ)ის სახელი, გვარი
- ბავშვის განთავსების ადგილი გაშვილებამდე
- რის საფუძველზე დაუდგინდა სტატუსი ბავშვს
- გასაშვილებელი სტატუსის მინიჭების თარიღი
- სტატუსის მიმღები ორგანო
- შეთავაზების მიმღები ტერიტორიული ორგანო
- შეთავაზების მიმღები მშვილბელის სახელი, გვარი
- რის საფუძველზე მოხდა შეთავაზება
- საქმის შედეგი
- შვილად აყვანილი ბავშვის სახელი, გვარი.

ფორმის მშვილბეულების ფურცელი (ე.წ. sheet – „მშვილბეული“) მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- მშვილბეული ქალბატონის/ბატონის სახელი, გვარი
- მშვილბეული ქალბატონის/ბატონის დაბადების თარიღი
- მშვილბეული ქალბატონის/ბატონის პირადი ნომერი
- აღრიცხვაზე აყვანის გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
- აღრიცხვაზე ამყვანი ორგანო
- მშვილბეული პირის/პირების ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი
- საკონტაქტო ინფორმაცია
- ინფორმაცია მშვილბეული პირის/პირების ნასამართლეობის შესახებ
- ინფორმაცია შემოსავლების შესახებ
- ინფორმაცია ქონების შესახებ
- მშვილბეული პირის/პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
- სასურველი ბავშვის სქესი
- ბავშვის ასაკის ქვედა ზღვარი
- ბავშვის ასაკის ზედა ზღვარი
- ბავშვის ეროვნება
- და-ძმა
- ოჯახის სარეიტინგო ქულა
- სხვა განსაკუთრებული მოთხოვნა

- წერილის ნომერი და თარიღი რომლის საფუძველზეც განხორციელდა ბაზაში ცვლილება სასურველი ბავშვის ასაკთან, სქესთან... მიმართებაში(ივსება ცენტრალური ორგანოს მიერ)
- შეთავაზებული ბავშვის სახელი და გვარი(ივსება ცენტრალური ორგანოს მიერ)
- შენიშვნა

12. დანართი N12 - განაცხადი არაფულადი მომსახურების თაობაზე

ფორმა გამოიყენება პირის არაფულადი მომსახურების მიღების შესახებ მიმართვის დროს. ფორმის გამოყენება შესაძლებელია როგორც არასრულწლოვანის, ასევე, სრულწლოვანი მაძიებლის შემთხვევაში.

თუ განმცხადებელი არ არის მაძიებელი (როდესაც მაძიებელი არის არასრულწლოვანი ან ქმედუნარო/ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე), შესაბამის გრაფაში ფიქსირდება განმცხადებლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი და საკონტაქტო მონაცემები), ასევე, ფიქსირდება, რა კავშირშია განმცხადებელი მაძიებელთან. განმცხადებელი, ასევე, შეიძლება იყოს მაძიებლის მინდობილი პირი, ამ შემთხვევაში აუცილებელია განაცხადის ფორმას დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ უფლებამოსილებას.

ფორმა ივსება ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის თანდასწრებით და დასტურდება განმცხადებლისა და ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის ხელმოწერით.